# სამშობლო

წელიწადი პირველი. ოთხშაბათი 4 თებერვალი 1915 წ.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ შეიტანონ ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. [illegible] წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 7 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 3 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 3


**„სამშობლო—დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,**
**ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,**
**როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.**


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.

ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—8 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მოწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული აგზავნოთ შემდეგის ადრესით. **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“** თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებებს და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ სურათები

**მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომლები. მათი სია ამ დღეებში გამოცხადდება.**

რედაქტორი **იაკობ ცინცაძე.**


ქუთაისის ქართველ სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების დამხმარე საამხანაგო კომიტეტთან არსებული ქალთა წრე ულრმესი მწუხარებით აუწყებს ქართველ ერს

## მხცოვან აკაკის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 4 თებერვალს, დილის 12 საათზე მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში.

**ქუთაისის ქართველი ქალები** ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ქართველ ერს,

## მხცოვან აკაკის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 4 თებერვალს, დილის 12 საათზე მთავარანგელოზის ეკლესიაში.

ბანძის აკაკის სახელობის სამკითხველოს გამგეობის წევრნი ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ქართველ ერს დიდებული მგოსნის და სასიქადულო მამულიშვილის

## ა კ ა კ ი ს

გარდაცვალებას.

1—1—40

კვირას, 8 თებერვალს, მუხურის აბესაძეების წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვლებულის

## მღვდლის ბესარიონ ტიმოთეს ძის აბესაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის მეუღლე სოფიო პეტრეს ასული, რძალი ეფროსინე სიმონის ასული აბესაძისა, და შვილი, მღვდელი გალაქტიონ ბესარიონის ძე აბესაძე. დასაწყისი წირვისა დილის 10 საათზე.

1—1—34

სოფ. საზანოში 29 იანვარს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქვრივი ნოშრევან ოქრობირის ძე ალავიძისა

## ნ ი ნ ო ი ვ ა ნ ე ს ა ს უ ლ ი,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები მისი: სვიმონი, ივანე და ალექსანდრე ნოშრევანის ძენი, მართა გვერწითელისა და სალომე საყვარელიძისა. დაკრძალვა სოფელ საზანოში 5 თებერვალს, დილით ხუთშაბათს.

1—1—42

ღრმათ დამწუხრებულნი ჭირისუფალნი: დიმიტრი ალმასხანის ძე მესხი, ალათი მიქელაძის ასული მეძმარიაშვილისა, მართა კორძაიას ასული მესხისა, პროკოფი ალმასხანის ძე მესხი, ბესარიონ და პიმენ კონსტანტინეს ძენი მიქელაძეები გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთ, ვინც პირადი დასწრებით, წერილებით ანუ დეპეშებით პატივი სცეს და თანაგრძნობა გამოუცხადეს უდროოთ დაკარგულის

## მარიამის (იგივე მაშიკოს)

გარდაცვალების გამო.

1—1—43

უზომო მწუხარებასა შინა მყოფნი ქვრივი ეკატერინე ვასილ მესხის ასული კვიცარიძისა, ირინე გიორგაძის ასული კვიცარიძისა, სიმონ პავლეს ძე კვიცარიძე და ელენე პავლეს ასული მუმლაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრათ გარდაცვალებას: პირველი ძვირფასი მეუღლისა, მეორე დაუვიწყარი შვილისა, ხოლო უკანასკნელნი საყვარელი ძმისა ნადვორნი სოვეტნიკის

## ექვთიმე პავლეს ძის კვიცარიძისას.

გამოსვენება თავის საკუთარ სახლიდან დანიშნულია სოფ. ოფურჩხეთს, 8 თებერვალს, დილით 10 საათზე. დაკრძალვა მოხდება ოფურჩხეთის წმიდა გიორგის ეკლესიის გალავანში. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს ხუთ საათზე.

3—1

## ქუთაისი, 4 თებერვალი.

... განა მზეს ქება სჭირია, ან მაისის ბადრ მთვარეს—შემკობა?

არა სჭირია ტკბილ აკაკისაც ჩვენი ქება...

გულისტკივილით ვგრძნობთ მხოლოდ, რომ კავკასიონის ბუმბერაზ მთების იქით ჩაესვენა ქართულ მწერლობის მანათებელი მზე, შორეულ ღრუბლებში მიიმალა ჩვენი ბნელი ღამის გუშაგი—მთვარე...

ოხ, რა ცივა, რა სიბნელეა ამ წუთში!

დღეს, 4 თებერვალს დილით თბილისში მიასვენებენ ღვთაებრივ აკაკის ნეშტს,—დასაკრძალავათ.

ქართველებო! მუხლი მოვიდრიკოთ დიდებული გვამის წინაშე.

**ია ეკალაძე.**

## დანაბარევი

—:—

...შენ, პოეტო საყვარელო! კმარა, რითაც დაგვამშვენე,
აქ მნახველმა ჭირ ვარამის, აწ იქ ტკბილათ განისვენე!
ნეტარია! უკვდავია! შეასრულა თვისი ვალი,
ვინც აქამდი გვაიმედა „და გვიქადა მომავალი!“
ახლა, ჩვენო სიამაყევ, უკვდავო და დიდებულო!
მუხლს მოვიდრეკთ შენს წინაშე, რომ ეს თხოვნა შეგვისრულო:
როს მიზძანდე იმა სოფელს ქართვლის გმირნი ინახულე,
შეავედრე ივერია... გაგვითენოს ტკბილი ხვალე.
დაარწმუნე რუსთაველი, რომ კვლავ სცოცხლობს მისი ენა,
რომ სიყვარულს ამ ენაზე ქადაგობდი თვითონ შენა..
—„ქართვლის ბედი“ ვერ გავიგე... დავსტოვე-თქო ვით სიზმარი,
მე წამოველ... გული მწყდება... ბარათაშვილს ეს უთხარი!
სხვა სევდა და ჭირ-ვარამი მოუყევი ტკბილათ, სრულათ,
იმ შენ უკვდავ ძმა-პოეტსა, ვინაც მოჰკლეს ვერაგულათ!
აწ მშვიდობით! მაგრამ სული ჩვენ მოგვეცი, დაგვიტოვე..
ნეტარება იმ დედასა, ვისი ძუძუც შენა სწოვე!

**მ. ელზაშვილი.**

## ცხედარი გამბრწყინვებულისა.

გამბრწყინვებული, მარად მომღერალი ერის ძლიერებისა, თეთრებით დაფარული მისცემია შეუკრთომელ ძილს. მთრთოლვარე ხელს მსოფლ მადიდებლისას შეუმკვია მისი განსვენების საწოლი წითელი ვარდებით, თეთრი ვარდებით, იაიებით და დაფნის რტოებით. როგორც სიცოცხლეში, ახლაც ისე მომღიმარია მისი სახე, ოღონ უფრო ნათელი, ისე, როგორც მთვარე, როდესაც იგი შუა ცას მიაწევს ხოლმე.

უხმოთ და მოკრძალებით შევდივართ ახლად მოსულები დადუმებულ ოთახში. უხმოთ ვართ გაჩერებული ცხედრის სიახლოვეს, ვერ ვახერხებთ ვერავითარ მოძრაობას, თითქოს კადნიერებათ მიგვაჩნია შეხება უდიდეს რჩეულისა. მგოსანი შანშიაშვილი გაუბედავათ ჰფანტავს ახალ ყვავილებს ცხედრის გარეშემო. კიდევ დიდხანს ვართ დადუმებული. მწუხარე ფიქრებით გატაცებული კიდევ დიდხანს შევცქერით იმ სულმნათს, რომლისთვისაც სტირის დღეს მთელი საქართველო. ყველას მდუმარებას არღვევს ქართველი მქანდაკებელი, რომელიც აქ მოსულა მისთვის, რომ შთამომავლობას შეუნარჩუნოს ნამდვილი სახე სამუდამოთ მიძინებულ აკაკისა: მან უნდა გადიღოს მგოსნის ნიღაბი. ჭეშმარიტად ტანჯვაა საჭირო მისთვის, რომ ადამიანმა გაბედოს და ღვთიურ სახეს უკვდავი ადამიანისას გადააგნისოს მიწა, შეიძლება არა წმინდაც, რადგან ამას მოითხოვს როგორც მომავალი, ისე სიყვარული იმ არსებისა, რომელმაც უნდა იცხოვროს მარად, როგორც სულიერათ, ისე სახიერადაც.

ვაკვირდებით მქანდაკებელს და ვგრძნობთ, რომ ის განიცდის ამ ტანჯვას... ოთახი ივსება მოსულებით. მუხლ მოდრეკით ლოცულობს ხალხი, ხალხი სტირის და ამ სიკვდილის ოთახში სტოვებს ღრმა მწუხარებას. სევდიანი ხმა, სატირალი ხმა „განუსვენე უფალო“ არ თავდება, შეუდარებელი გლოვა დამკვიდრებულა ამ ოთახში და ვინც იქ შედის, ის ვერასოდეს ვერ დაივიწყებს ამ გლოვის დღეს.

გარეთ მზეა. მთები დათოვლილია. გზებს და ბილიკებს ჩქარის მოძრაობით მისდევს ხალხი სულ დამწვარი როგორც პილიგრიმები: ყველა აქით მოიჩქარის, რომ ღირსოს გაბრწყინვებულ ცხედრის წინ მუხლი მოიდრიკოს.

ვშორდებით ამ წმინდა სახლს...

—

„თავისი ბავშობა აკაკიმ გაატარა სოფელ სავანეში ერთი გლეხის სახლში. ის ადგილი, სადაც იზრდებოდა ერის დიდება დაუვიწყარი დარჩება ქართველებისთვის სამარადისოთ. ვინახულეთ ეს წმინდა ადგილი. ძველი სახლი, რომელშიაც აკაკი იზრდებოდა გადამწვარა, დარჩენილა მხოლოდ ეზო. ამ ტოტებ გადაშლილ კაკლის ხეს ახსოვს პატარა აკაკი. ამ ზამთრის ყინვისგან დახეთქილ მიწაზე, ერთ დროს თამაშობდა ის. მისი ტოლი ვერავინ ვნახეთ, არავინ არის რომ ახსოვდეს ბავში—მომავალი დიდება სადღაც სოფლის გინაპირას ცხოვრობს უხუცესი გლეხი ნანუა. მას თურმე ბევრი რამ ახსოვს წარსულის. ყველა ფიქრობს რომ მას ეცოდინება ყველაფერი დაწვრილებით აკაკის ბავშობის შესახებ. პატარა სოფლის ბავშები ერთი მეორეს ეტოქებიან სიმარდეში. და მიჰქრიან გლეხისაკენ [illegible] რომ აქ მოიყვანონ. მაგრამ გლახი არსად სჩანს, ალბათ აღარ აქვს ძალა სიარულისა

დიდხანს დავდივართ ამ მრავალ-მნიშვნელოვან შემოგომბილში. ბევრი ხალხი იყრის თავს. აქ არის სამსონ ფირცხალავა, ი. ნიკოლაძე, ა. შანშიაშვილი და სოფლის მკვიდრნი. გამოითქვა აზრი, რომ ეზოში აღიმართოს ძეგლი—კოლონნა ნიშნად სამარადისო მოგონებისა. სავანელები აღტაცებით ეგებებიან ამ აზრს.

ვბრუნდებით ისევ საჩხერეში. ჩვენი ეტლი მიჰქრის გადაშლილ ხვადაბუნებზე. შორს, გზებს შავი ზოლი მისდევს: ეს ხალხია, რომელიც ეშურება იმ სახლისაკენ, სადაც ასვენია თვით ხალხის მომღერალი და მესაიდუმლე. მთელი საქართველოს ყურადღება დღეს აქით არის მოპყრობილი, ყველა შეერთებულია ერთი არსების გარშემო. აკაკი ცდილობდა ქართველთა მთლიანობას და თავის გარდაცვალებით უმაღლესად განამტკიცა თავისი ცდა. არ უნდა იყოს დღეს არც ერთი ქართველი, რომელსაც მოწინავის ანდერძის მიხედვით, პირველად ყოვლისა არ ახსოვდეს ყველაფერი თავისი, ქართველური.

გზაზე გვხვდებიან თავაზიანი გლეხები—იმერლები და გვესმის მათი გრძნობიერი საუბარი აკაკის შესახებ. ბავშებს მიაქვთ ყვავილები ცხედრის შესამკობად.

—

დაღამდა. მრავალი ხალხი იკრიბება კნ. ელისაბედ წერეთლის სახლში, სადაც მთელ საქართველოდან და რუსეთიდანაც

მრავალი დეპეშა მისდის მარშალს თ-დ პეტრე წერეთელს. ამ სახლში ხდება კრებები, აქ გამოითქმის მრავალი აზრი, და ყოველ შეკითხვას საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდან აქედან ეძლევა პასუხი. ეს სახლიც სანახსოვრო უნდა იყოს ყველა ქართველისთვის, რადგან მრავალი თავისი იდუმალებით სავსე სიმღერა, აკაკის აქ შეუქმნია.

უკვე შუა ღამეა. ჩვენ ვეშურებით ჩვენს ოთახებს, და როდესაც მთელ სახლში სიჩუმე მყარდება, ერთი ჩვენგანი იგონებს აკაკის სხვა და-სხვა ნაკვესებს: ხელახლა ვფხიზლდებით და დიდხანს ვისმენთ, სიხარულით ვისმენთ ბრძნულათ თქმულ სამხიარულო ნაკვთებს.

გარეთ ქარია.

სოფლის განაპირას ასვენია ცხედარი გამბრწყინვებელისა.

**პ. იაშვილი.**

## აკაკის ოჯახიდან.

როგორც კი გადაიცვალა თავის საკუთარს სახლში დიდებული მგოსანი და მამულის შვილი აკაკი, და გადასწყდა ძვირფასი ცხედრის წასვენება საჩხერიდან ქ. თფილისს დასაკრძალავათ, შესდგა ადგილობრივი კომიტეტი, წასვენებამდი გარდაცვალებულის პატივსაცემათ და ეგრეთვე წასვენების საქმის მოსაწყობათ, რომელშიაც შედიან: შორაპნის მაზრის თ. აზნ წინამძღოლი, თ. პეტრე ალექსანდრეს ძე წერეთელი, თავადნი: გიორგი დავითისძე, ირაკლი მ., ფრიდონ გ. წერეთლები ილარიონ გამყრელიძე, ანეტა და ბიკტორ იურკევიჩები, კოტე აბდუშელიშვილი, იასონ ლამბაშიძე, სვიმონ ბარათაშვილი, გალაქტიონ მასხარაშვილი, კოტე წულუკიძე, მერაბ კაპანაძე, გიორგი გოფრინდაშვილი, სიმონ ხოჯაშვილი და აბრამ კუკოზაშვილი.

დღიდან გადაცვალებისა ყოველ დღეს ერთჯერ, ხან ორჯერ საზოგადოება იხდის, როგორც მისს საკუთარ სახლში, აგრეთვე ადგილობრივ ტაძრებში დიდებული მგოსნის სულის მოსახსენებლად პანაშვიდს.

არსებულმა კომიტეტმა შორაპნის მაზრის თ.-აზნ. წინამძღოლის, თ. პეტრე ალექსანდრის ძის წერეთლის თავმჯდომარეობით შეიმუშავა შემდეგი წეს-რიგი ძვირფასი ნეშტის საკუთარი სახლიდან შორაპნის სადგურამდი წასვენებისა:

**3 თებერვალი.**

1) ნაშუადღევის 3 საათზე, დეპუტაციის მოსვლის შემდეგ, საკუთარ სახლში, იქნება გადახდილი პანაშვიდი.

2) პანაშვიდის შემდეგ დაწესებული იქნა ცხედართან მორიგეობა თითო საათით,—(მორიგეობას შეასრულებს ოთხ-ოთხი პირი—ორი კაცი და ორი ქალი).—

**4 თებერვალი.**

1) შეიკრიბებიან არა უგვიანეს დილის 9 საათისა: მოგვარეები, ნათესაობა და კომიტეტის წევრები;

2) ერთი საათის შემდეგ შეიკრიბება სამღვდელოება და ხალხი.—

3) სოფლების თითოეული საზოგადოება, თავის წარმომადგენლებით, დგება გზის ორივე ნაპირზე მწყობრად ცალცალკე, დაწყებული პირველი თალიდან საჩხერის სადგურამდის.

4) ეზოსა და პირველ თალს შუა დგებიან ადგილობრივი სკოლების მოსწავლეები (ერთი მხრით ქალები და მეორეს ვაჟები).

**გამოსვენება.**

1) ბინაზე ეთხოვებიან ნათესავები და მოგვარეები, ამ უკანასკნელთ გამოაქვთ ცხედარი კიბის ბოლომდი, სადაც ამბობს გამოსათხოვარ სიტყვას ერთი მოგვარეთაგანი და იგინივე ნათესავი თ. დ. ნიჟარაძის დახმარებით გადასცემენ ლიტერატორებს გარდასაცემათ ხალხისადმი.

2) ეზოში დაიწყება წესის აგება 11 საათის ნახევარზე, რის შემდეგ ამბობენ სიტყვას სამღვდელოების წარმომადგენელნი

3) პროცესსია გაემართება საჩხერის სადგურისაკენ შემდეგი წესით:

ა) წინ მიდის ექვსი ცხენოსანი სამგლოვიარო დროშებით.

ბ) საეკკლესიო ბაირაღები;

გ) კუბოს სახურავი მიაქვთ უმაღლესი; დაწყებითი სასწავლებლის მოსწავლეებს;

დ) მგალობელთა გუნდი;

ე) სამღვდელოება, მონაზვნები და ეპისკოპოსი;

ვ) მგოსნის სურათი—მიაქვთ მოწაფე ქალებს, იმათ მოჰყვებიან სხვა მოწაფე ქალები და უფენენ ცხედარს ყვავილებს.

ზ) ცხედარი.

ც) ცხედარს მიჰყვებიან: მგოსნის ოჯახობა, მოგვარეები, გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი თ. დ. ნიჟარაძე, ლიტერატორები, წარმომადგენლები სხვადასხვა დაწესებულებისა, მუსიკა, მოწაფეები, მგოსნის მახლობელი მეზობლები (სოფ. სხვიტორში მცხოვრებნი), მერე ჩიხის და დანარჩენი საზოგადოებანი რიგ რიგათ.

თ) ყოველ თალთან პროცესსია შეჩერდება, ხოლო ოთხ მაგანთან და მგოსნის სახლობის სამკითხველოსთან წარმოითქმებიან სიტყვები.—

ი) სიტყვების წარმოთქმის მსურველნი წარუდგენენ თავის სიტყვებს წერილებით კომიტეტს დასადასტურებლათ, არა უგვიანეს 3 თებერვლის საღამოს რვა საათისა.

კ) თითოეული სიტყვის წარმოთქმა განსაზღვრულია ათი წუთით.

4.—საჩხერის სადგურიდან ცხედარი წასვენდება საგანგებო მატარებლით, ნაშუადღევის 3 საათზე, ადგილობრივ კომიტეტის წევრების თანხლებით, სადგურ შორაპნამდი, სადაც ძვირფასი ცხედარი გადაეცემა ქუთაისის კომიტეტს.

5.—მიცვალებულის სახლიდან საჩხერის სადგურამდი წაასვენებენ ხელით კომიტეტის მიერ არჩეული კაცები.

6.—საჩხერისა და აგრეთვე ახლო მახლო სოფლების ეკკლესიებზე იქნება სამგლოვიარო ზარის რეკა.

— —

**30 იანვარი.**

დიდებული მგოსნის აკაკის მეზობელ სოფ. ჰერევში მცხოვრებნი აზნაურნი აბდუშელიშვილები, გლეხები და მათთან ერთათ ქართველი მწერალი იპოლიტე პეტრეს ძე ვართაგვა, მოვიდნენ მგოსნის ოჯახში. წინ მოუძღოდათ დეკანოზი იოსებ წერეთელი და მღვდ. ლავრენტი კაპანაძე, გადახადეს განსვენებულის აკაკის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი და მუხლ-მოდრეკით თაყვანი სცეს მგოსნის ცხედარს.

აგრეთვე სხვა-და-სხვა სოფლებიდან მოდიან მცხოვრებლები, მოჰყავთ თავიანთი მღვდელი, იხდიან პანაშვიდს მიცვალებულის სულის მოსახსენებლად და დაჩოქილი თაყვანსა სცემენ მის ცხედარს.

**31 იანვარი.**

დიდებული მგოსნის კარის ეკკლესიაში მწირველი იყო ჯრუჭის მონასტრის არხიმანდრიტი გაბრიელი, შემდეგ წირვისა იქ სადაც ცხედარი ასვენია პანაშვიდი გადაიხადა ადგილობრივი მღვდლის იაკობაშვილის მონაწილეობით განსვენებული მგოსნის სულის მოსახსენებლათ, ამ პანაშვიდზე დაესწრო სოხუმიდან მოსული დეპუტაცია ნიკო თავდგირიძის მეთაურობით. დეპუტაციამ მიცვალებულის კუბო შეამკო ცოცხალი ყვავილების ჯვრით და გვირგვინით, რომლებზედაც არის წარწერები: სოხუმის ქართველებიდან, სოხუმის მუშათა ჯგუფისაგან, მოძმე აფხაზებიდან და სოხუმის ქალთა გიმნაზიის მოწაფეებიდან.

**1 თებერვალი.**

დიდებული მგოსნის სასახლის ეკკლესიაში სწირა ჯრუჭის არხიმანდრიტმა გაბრიელმა ადგილობრივი მღვდლის იაკობაშვილის დახმარებით და შემდეგ სადაც მცხედარი ასვენია, გარდიხადა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლათ.

**2 თებერვალი.**

დიდებული მგოსნის სოფლის მცხოვრებნი ქალი და კაცი, ბავშვებით, მოვიდნენ მცხედრის ოჯახში მათმა მღვდელმა ევსევი იაკობაშვილმა, ჯრუჭის არხიმანდრიტის გაბრიელის მეთაურობით გარდიხადეს პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლათ.

დიდ მნიშვნელოვანი იყო ის სურათი, როცა დიდი და პატარა მუხლ მოდრეკილი თაყვანსა სცემდა ცხედარს და მხურვალე ცრემლით ეთხოვებოდა.

ამ პანაშვიდზე მეტათ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ერმილე ხარაიძემ.

---

**საქართველოს ეგზარხოსის უ. ღ. უსამღვდელოესი პიტირიმის სიტყვა.**

(წარმოთქმული მგოსანი აკაკის ბრწყინვალე პანაშვიდზე ქვაშვეთის ეკლესიაში).

„მოწმენდილ ყინვიან ღამეს, ცის სივრცეზე წყნარათ და ნაზათ მისცურავს მთვარე, ახარებს და ესალმუნება მაყურებლის თვალს; მაგრამ აი, ის ჩაესვენა, გადაეფარა ცის ჰორიზონტს და მით ჩვენც მოგვევლინა დარდი და მწუხარება. აი, სწორეთ ასე ჩაესვენა ჩვენგან შუქურა ვარსკვლავი საქართველოისა, თავადი აკაკი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ეტრფოდა და შეჰხაროდა თავის საყვარელ მშობელ ხალხს; მშობელ დედის მკერდიდან მოსწყდა საუკეთესო შვილი სამშობლოისა და განისვენა ზეციურ მამის წიაღსაშინა კერძოთ, ჩვენზე ამ სიკვდილმა დიდი და ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, ვინაიდან განსვენებულ თავადს ვიცნობდით პირადათ; ვიცნობდით იმიტომ, რომ ვეძებდით და გვსურდა კიდეც მისი გაცნობა. დიდიხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთი ვინახულეთ და ისე ტკბილათ ვისაუბრეთ იმ საკითხებზე, რომლებიც ორთავეს გვაღელვებდა. მე ჩემს თავს ნებას მივსცემ მივაპყრო თქვენი ყურადღება იმ მოგონებას, რომლის გარშემოც ხდებოდა ჩვენი საუბარი. პირველათ ჩვენ ლაპარაკი ჩამოვაგდეთ მშვიდობის ფრიად მოყვარულის და უკეთილ-მახლურეს ჩვენ ხელმწიფე იმპერატორის შესახებ, რომელსაც ომი არ ეწადა, მაგრამ რომელმაც მოწიწებით მიიღო ღვთის განგებით მისდამი წარმოგზავნილი განცდა. ვლაპარაკეთ ჩვენ ამ უმაგალითო საშინელ ომზე და მის იმ გმირებზე, რომელთა სახელიც ასე დაკავშირებულია რუსეთთან, მაგრამ მამაცურ მათ სამშობლოს ქართველოსთან, იმ საქართველოსთან, რომელსაც, ომის გათავების შემდეგ ... საშუალება წინსვლისა და განვითარებისა, რუსეთის სხვა ... ქრის... ვლაპარაკეთ ჩვენ აგრეთვე შესახებ საქართველოს ეკლესიისა და ქართული წირვა-ლოცვის იმ შესანიშნავ ენაზე, რომელზედაც უქრისტიანესი ქართველი ერი აღავლენს ქება-დიდებას ყოვლად შემძლე ღვთისადმი ათას წლობით, იმ ოდესღაც დიდებულ ეკლესია-მონასტრებში, რომლებიც დღეს დანგრეული და უყურადღებოთ გაბნეულია მრავალ-წამებულ მის სამშობლოს მთა-ბარში. და უნდა გენახათ თუ, როგორ გაბრწყინდა სახე მისი, როგორი სიამის ცრემლები მოდიოდა მის კეთილ და მშვენიერ მოხუც თვალთაგან. ვილაპარაკეთ ჩვენ იმაზედაც თუ როგორი ზომები უნდა იქნას მიღებული ამ ძველ ტაძართა აღსადგენათ და დასაცავათ ნანგრევისა და განადგურებისაგან. ვლაპარაკობდით ჩვენ სხვა მრავალ კითხვებზედაც, ვილაპარაკებდით კიდევ დიდხანს, დაუსრულებლათ, რომ უკვე დაგვიანების ჟამს არ გაეხსენებია მისთვის, რომ დრო იყო უკვე წასვლის, დრო იყო დაესვენებია სხეულითვისი მოხუცი და დავშორდით ჩვენ ერთმანეთს სიყვარულით, იმ იმედით, რომ ერთმანეთს კიდევ მალე ვიხილავდით ამ საშინელ და აუტანელ ომის დამთავრების შემდეგ, უფრო უკეთეს პირობებში, რათა უფრო მშვიდათ და მხიარულათ გვესაუბრნა ჩვენთვის ძვირფასი ქართველი ხალხის საჭიროებებზე, და იმ პირობებზე, რაც უთუოთ საჭირო იქნებოდა საეკლესიო და სარწმუნოებრივ ცხოვრების აღდგენისა და განახლებისათვის. მაგრამ ვაგლახ, რომ ბედმა არ გვარგუნა ჩვენ ერთმანეთს კვლავ შევხვედროდით. შეუბრალებელმა სიკვდილმა ის გამოგლიჯა მის საყვარელ ხალხიდან.

სულით და გულით ვუერთდებით შენს მწუხარებას უკეთილშობილესო და უსაყვარლესო ქართველო ხალხო, რომელიც დღეს დასტირი შენს საუკეთესო შვილთაგანს. და შენ, კი განსვენებულო თავადო, გაემგზავრე იმ ქვეყნათ და გწამდეს რომ ცრემლნი და კვნესანი შენნი შენ საყვარელ ხალხზე, რომლის დარაჯათაც შენ იდექი ნახევარ საუკუნეზე მეტი, ტყუილ უბრალოთ არ ჩაივლიან. ჩვენ კი, საყვარელო სამწყსოვ საქართველოსავ ამით ვინუგეშე, რომ ღმერთი, მომნიჭებელი ყოველივე სიკეთისა და მსურველი რომ წარეყვანა ჩვენგან ძვირფასი თავადი, თვითონვე უბოძებს მის სულს განსვენებას ბრწყინვალე წიაღსა შინა თვისსა.

---

## შთაბეჭდილებანი.

**(ქუთაისიდან-საჩხერემდე).**

ერთხელ განსვენებულმა აკაკიმ დამეკითხა:

— ... უფრო გემარჯვება წერა, სოფ... ქუთაისშიო?

— ... წარმოიდგინეთ, ბატონო, ყველა ჩემი მოთხრობები ქუთაისში მაქვს დაწერილი,—ვუპასუხე მე.

— საკვირველია, სთქვა მან, არც თფილისში, არც ქუთაისში შესანიშნავი არაფერი დამიწერია; ყველაფერი საჩხერეში მაქვს დაწერილიო—მითხრა მგოსანმა.*)

საჩხერეს, ამის შემდეგ, ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა.

როდესაც აკაკი ავათ გახდა, მინდოდა მენახა, მაგრამ ვერ მოვახერხე... ახლა კი საჩხერე, როგორც მთელი საქართველოსათვის, ჩემთვისაც იმ ჯადოსნურ ადგილად შეიქნა, სადაც მიილტვოდა ჩემი ოცნება და გული.

შაბათს დილას, მოვახერხე, მუხლი მოვეყარა დიდებული ცხედრის წინაშე.

ქუთაისიდან მარტო გავემგზავრე... გზაზე შემხვდა სოხუმიდან მომავალი დეპუტაცია ნიკო თავდგირიძის მეთაურობით. სწორეთ ორი საათი იქნებოდა, როდესაც საჩხერის სადგურამდი მივაღწიეთ. სადგურის წინ ეტლითა და ცხენებით დაგვხვდენ თ. წერეთლები.

სოხუმის დეპუტაციას მოქონდა მშვენიერი იის ჯვარი და ცოცხალი ყვავილების გვირგვინი. როდესაც გვირგვინს ხსნიდენ ბევრი ცნობის მოყვარე ჩვენს გარშემო შეგროვდა.

ეტლში ჩავსხედით და გავემართეთ. მთებს შორის მოთავსებულია საჩხერე. ლამაზია ეს სოფელი, ლამაზი მაშინაც კი, როდესაც მის პატარა გორაკებს თოვლის ზეწარი აქვს გადაფარებული.. მშვენიერი სურათების ხილვით თანდათან მემატებოდა შთაბეჭდილება.

მხოლოდ ჩემმა თანამგზავრმა ძუკუ ლოლუამ უსიამოვნოთ მითხრა:

— კარგი ძარღვები ჰქონია განსვენებულს, რომ ამ გზით დადიოდა და კიდევ 75 წელს გაძლოო.

ქვიანი, ვიწრო და აღმართ-დაღმართიანი გზა მიდის საჩხერემდი.

ქება და დიდება საჩხერეს, რომ ასეთი შვილი აჩუქა საქართველოს! მაგრამ ნუ დავუკარგავთ სახელს იმ პატარა კუთხეს, რომელსაც ძუძუ უწოვებია მგოსნისათვის.

და ეს პატარა კუთხე არის სხვიტორი, დ. საჩხერის ის პატარა უბანი, სადაც პირველად გაახილა თვისი ლამაზი თვალები ხალხის გულის მესაიდუმლემ.

თვით სხვიტორს რაღაც უცნაური მოხაზულება აქვს. თქვენ წარმოიდგინეთ დიდი სასახლე, რომლის წინაც, აივნის კიბის ორთავე მხარეს, ორი ქვის უზარმაზარი ლომის გამოსახულება ამშვენებს.

სწორეთ ასეთია სხვიტორი, ოღონდ ლომის ადგილას მარჯვნივ ასვენია საჩხერის ქედ ამაყი გორაკი და მარცხნივ ჩიხის მთა; შუაში ფართო ადგილზე დგას ორსართულიანი ქვის სახლი.

ნუთუ ამ სახლში ასვენია ჩვენი აკაკი?!

ნელა მივდივარ, გული მაგრათ მიცემს... თვალები ხარბად ეტანება ყველაფერს... პატარა გზით ეზოს მივაღწიეთ, სახლს მოვუარეთ და პატარა მისაღები ოთახიდან დიდ დარბაზში შევედით...

პანაშვიდი იწყებოდა. ჩვენ გველოდებოდენ. ცოტა წავიწიე და დავინახე აკაკი! ოო, ნეტამც არ მენახა! მშვენიერ კუბოში მშვიდათ წევს იგი... ხელი გულზე დაუკრეფია.. სახე... სახე ისეთი როდი აქვს, როგორიც მე წარმოდგენილი მქონდა... გამომეტყველება სწორეთ რომ საშინელია, მას აკრავს თეთრი, მოყვითალო ბინდ გადაკრული ფერი; თითქოს შეშინებულა და შიშის ფერი შეჰყრია.

ნუთუ შენ, კაცო, გულ ფოლადო მგოსანო, რომელიც ყველას იმედს და მხნეობას ჩასჩურჩულებდი, შენ თვითონ დაფრთხი სიკვდილის წინაშე? სიკვდილი ხომ შენთვის არ არსებობს! რადგანაც შენ ცოცხალი ხარ თვით ხალხის გულში!

— რატომ არის აგრე თეთრი მისი სახე? შევეკითხე ერთს ჩემთან მდგომს.

— მშვენიერი სახე ჰქონდა, გეგონებოდა სძინავსო, მაგრამ ბალზამი გაუკეთეს და ამის შემდეგ სახე მთლად გამოეცვალაო,—მომიგო მან.

კუბო დაბლა დგას, სანთლები მკრთალ სხივებს აფენენ. კუბოს წინ ყვავილები აფენია... მგოსანს გულზე მინდვრის ყვავილების პატარა უბრალო კონა ადევს: კარგია, საუცხოვო!

ოთახში ბევრი მლოცველები არის. კუბოს თავთან შავით მოსილი მგოსნის და კნ. ანა ცრემლებს ძლივს იკავებს; მის გვერდით სდგას კნ. ანეტა დადეშკელიანისა, განით—მგოსნის შვილი, პ. წერეთელი, სიმონ წერეთელი (ყოფილი მარშალი).

მლოცველთა შორის შევნიშნე კნ. ანასტასია მაჩაბლისა (მეუღლე დაუვიწყარი ვანოსი).

გათავდა გულის გამგმირავი „სულთათანა“. ხალხი დაიშალა.

მინდა ვნახო კოტე... კოტე აბდუშელიშვილი, მგოსნის მოურავი და მეგობარი. კოტე დაღლილია, მაგრამ ილაჯს მაინც არ იწყვეტს. შევდივართ იმ პატარა ოთახში, სადაც მგოსანი დაიბადა, სწერდა, დაავადდა და გარდაიცვალა.

აი ის, ქართველებისათვის ამიერიდან დაუვიწყარი პატარა კუთხე, რას ვამბობ? დიადი სამლოცველო ხელოვნებისა და პოეზიისა.

ოთახის შუაგულ დგას რკინის საწოლი, რომელზეც მიიცვალა მგოსანი. აღმოსავლეთით, ...დან შემოსასვლელი კარია, სამხრეთით ...არა სარკმელი, კუთხე ... ...კეთებული ... ახატე; ... აქ იდგა მისი საწოლი. „ხატებს ... კანდელ თავი, აწი არაფერი მიშავს, ამ ...ის დათავებას მოვასწრებო“... ხშირად იტყოდა თურმე ავადმყოფი.

ჩრდილოეთით კიდია „სვეტიცხოვლის ხატი“ და დასავლეთით გაკეთებულია დიდი ბუხარი. ამ ბუხრის ორ ადგილას, მარჯნივ და მარცხნივ, ქვითკირში ჩასმულია სურათივით ორი ფინჯანი. მარჯვნით მყოფ ფინჯანს უბრალო ხაზები აქვს. მხოლოდ მარცხნით მყოფზე დახატულია დაშლილი კარტები. ერთხელ თურმე განსვენებულმა კითხა აბდუშელიშვილს:

— იცი კოტე, რატომ მიყვარს კარტის თამაში?

— არა, ბატონო, მიუგო მან.

— როდესაც ცხონებული დედაჩემი ეკატერინე ჩემზე ორსული ყოფილა, ამ ბუხართან უყვარდა ყოფნა, და ხშირად ამ ფინჯანს უყურებდაო... ოხუნჯობა! რამდენი ერთი ვიცი აკაკის ოხუნჯობა, მაგრამ ეს სხვა დროისთვის.

— კიდევ მითხარ, კოტე, ამ ოთახის შესახებ აკაკის აზრი!

— აი, რას ამბობდა ამ ფანჯრის შესახებ, რომელიც მის საწოლის ახლო იმყოფებოდა.

— არა, მომიგო კოტემ.

— მისი უკანასკნელი პოემის დაწერა როგორ მოხდა?

— ერთ დღეს მითხრა: „ისეთი დიდი ამბავი ხდება, ამაზე რომ არაფერი ვსთქვა სირცხვილიაო“. აიღო კალამი და წერა დაიწყო, მაგრამ ვერ გეტყვით მისი წერის საიდუმლოებას.

— რატომ?—დავეკითხე გაკვირვებულის ხმით.

კოტე ყოყმანობს:

— ისე, მე თვითონ მინდოდა ამეწერა. მაგრამ, ნელა, აი იმ ... ...ით, ტაქტით, რომელიც საზოგ... ...ლისთვის იარაღია, კოტე ავლაპარაკე:

— როდესაც აკაკი წერის გუნებაზე დადგებოდა, მისი სახე უცნაურ გამომეტყველებას ღებულობდა, თავზე თმები ყალყზე დაუდგებოდა... თვალები გაუსხივოსნდებოდა... ტუჩები აუმოძრავდებოდა; აღელვებული დადიოდა ოთახში და ბოლოს, როცა დაწყნარდებოდა, კალამს ხელში აიღებდა და სწერდა თავისუფლათ ძალა დაუტანებლათ. ამ დროს მთელს სახლს ალი რომ მოკიდებოდა და მისი ოთახის კარები რომ შეგემტვრიათ, ხმას არავის გასცემდა. დასწერდა რამეს და შემდეგ დიდ ხანს ისვენებდა.

— მისი უკანასკნელი წუთები?

— წინა დღეებში ღელავდა, მაგრამ სიკვდილის დღეს კარგ გუნებაზე იყო და ჩვენ ძალიან გვიხაროდა.

კიდევ ბევრი მინდოდა მეკითხა კოტესათვის, მაგრამ კოტე ამ სახლში ყველაფერია, იხმეს და მომშორდა.

მივედი წიგნის შკაფთან, დავკარი თითი და ამოვიღე „Жизнеописаніе великихъ людей“ პლუტარხისა.

რატომ მაინცა და მაინც რუსული წიგნი!.. კიდევ ვსინჯე—„ქართული მართლწერა“ მოსე ჯანაშვილისა. ერთხელ კიდევ—„ჩემი თავგადასავალი“ და შემდეგ დაუსრულებელი რიგი ქართული წიგნებისა.

— მობრძანდით, შესანდობელი მიირთვით, მიგვიწვია მგოსნის შვილმა.

სასადილო ოთახისაკენ გავემართეთ.

სადილობის დროს საუბარი საჩხერის გლეხების გარშემო ტრიალებდა. თურმე

---

*) ამ საუბრის მოწმეა სტ. კამპანიონი ქუთ. კლას. გიმ. მასწავლებელი.

# ქურუმი აღესრულა!

აკაკი მოკვდა!

მოკვდა?

არა, არ მომკვდარა!

აკაკნი არა კვდებიან...

მაშინ შოთაც მკვდარია, ბარათაშვილი, ილია...

ქართველ ერს დიდი სიტყვა აქვს ასეთი ბუმბერაზებისთვის:—

ისინი არა კვდებიან,

მიიცვალნენ.

აკაკი გარდაიცვალა!

ასეთი ოქროპირები არა კვდებიან.

და მარად ცოცხალია მათი სული.. ცოცხალია, ვინაიდან მათი ღვაწლით, მათი კალმით ერის გული მარად სასიცოცხლოთ ჰფეთქს, ნეტარობს...

გადაიცვალა აკაკი...

და აწ ახალს ოქროს სიტყვას, მარგალიტ ლექსებს ვერლა მოგვასმენს...

მაგრამ კმარა, რაცა სთქვა, ძალიანაც კმარა, რომ იგი მარადის ცოცხალ იქმნეს, ვიდრე ქართველი ერი იცოცხლებს, საქართველო იარსებებს, ქართული ანბანი იქნება.

ფასს ვინ დასდებს მის ღვაწლსა, ვინ გაზომავს მის ნაშრომს, ვინ ასწონის მას, რაიცა მან ქართველ ერს აჩუქა?

აკაკი, სხვა წარჩინებულ მეფე-მგოსანთა შორის, ერთი პირველთაგანი მეფე იყო ქართული სიტყვის, ქურუმი ქართული პოეზიის, დიდებული ლალა ქართული ენის, მეუფე კაზმული ლექსის.

დიდება ერსა მის გამჩენს, იგი მას განგებით მოევლინა, რომ ტკბილი ჰანგებით დაეტკბო გრძნობა მისი, მამულის სასიყვარულოთ გული იმისი ზეშთაგონებით აენგერებია.

დიდება ერსა მის გამჩენს...

ნეტარ ხსენება ზე-კაცს-მგოსანს!

დ. მესხი.

---

# სამგლოვიარო დეპეშები და წერილები.

ჩემდა საუბედუროთ პირველათ მე, მარგუნა ბედმა, ჩამომეკრა გლოვის ზარი და მეცნობებია მთელი ქართველი ერისათვის, რომ ჩვენი დიდება, ჩვენი სიამაყე აკაკი აღარა გვყავს.

დღეს მთელი ქართველი ერი გოდებს და სტირის, და მეც ვუერთდები მათ უზომო მწუხარებას, გულხელ-დაკრეფილი ვდგევარ დიდებული მგოსნის გაციებულ მცხედართან, ვსტირი ჩემს დაობლებას და მხურვალე ცრემლით ვასველებ ჩემის აღმზრდელის მგოსნის აკაკის კუბოს ფიცრებს.

კოტე აბდუშელიშვილი.

ტყიბულის ქვა-ნახშირის მუშები და მოსამსახურენი დიდათ დამწუხრებულნი ვართ სამშობლოის დიდებულ მოამაგის, აკაკის სიკვდილით და ვიზიარებთ მათი ოჯახის მწუხარებას; ვუერთდებით ძაძით შემოსილ მთელი საქართველოს საერთო გლოვას. საუკუნოთ იყოს ხსენება შენი დიდებულო საყვარელო პოეტო.

— —

შესწყდა აკაკის სიმთა ჟღერა, მის სპეტაკ სახეს გადაეფარა სიკვდილის აჩრდილი, დადუმდა მისი მშვენიერი ბაგე. მისი ტკბილი ხმა აღარ ჩაგვწვდება გულში ციურ მანანათ, ვეღარ დაგვირღვევს მწარე ფიქრებს თავის მხატვრული შემოქმედებით, ვეღარ შექმნის ქართველ ქალთა ტიპებს და მამულისათვის თავდადებულ გმირებს. მერე როდის? როცა ცხოვრება ისედაც მრავალგვარად სიმწარეს გვასმევს, არ შესრულდა სურვილი დიადი მწერლის, ის ვეღარ მოესწრო ისტორიული აქტის დასრულებას.

ძვირფასო აკაკი! შენი კალამი ეკუთვნოდა შენს ხალხს, რომელშიაც დიდი წილი გვედვა ქართველ დედებს. შენს შემოქმედებაში შენ გვახასიათებდი, გვითითებდი ჩვენს ნაკლულოვანებაზე, გვაფხიზლებდი ჩვენი მოვალეობის აღსრულებისათვის. შენის პოეზიით ასაზრდოებდი ჩვენს შვილებს—მომავალ ერს. ნუთუ მოიძებნება ისეთი ქართველი დედა, რომელსაც თავის შვილის პირველ ტიტინის შემდეგ შენის ლექსით არ ესარგებლებიოს და შენი სათუთი ენით შვილისთვის სწავლის სურვილი არ გაეღვიძებიოს? ჩვენ დავკარგეთ დიდი მასწავლებელი. ვსტირი საქართველოს უბადლო შვილის დაკარგვას და მუხლმოდრეკით თაყვანს ვსცემ შენს დაუვიწყარ ცხედარს, მე, ერთი ქართველ დედათაგანი.

ქრ. დგებუაძისა

— —

**ქართველ მაჰმადიან ჯგუფისაგან.**

ქართველი ერის ნაწილ-ნანგრევებს, ისედაც ბუნებისაგან დაწყევლილ-დატანჯულებს, ტანჯვაზე დანტანჯვა აღარ გვშორდება და ამ უკანასკნელმა, სამუდამოთ დაუვიწყარმა თავზარდამცემმა საქართველოს დიდებული შვილის დაკარგვამ, გადაჰარბა ყოველ ტანჯვას და მოგვწყვიტა წელი.

ჯგუფის მონდობილობით ჭაიდარ ბეგ აბაშიძე.

— —

პარასკევს, 30 იანვარს, შესდგა საგანგებოთ მოწვეული შეერთებული კრება წიგნების გამომცემელი ქუთაისური ამხანაგობის გამგეობისა და სარედაქციო კომისიისა. კრებამ დაადგინა: ა, გაიგზავნოს დეპუტაცია საჩხერესა და თფილისს ქართ-

---

საჩხერელი გლეხები აკაკის გვამის თფილისში გასვენების წინააღმდეგი იყვნენ.

— ჩვენია, ჩვენ გვიმღეროდა, ჩვენთან უნდა დასაფლავდესო—ამბობდენ იგინი.

სადილის შემდეგ ეზოში გავედი. ცარიელია ეზო, მხოლოდ ერთი ძირი კაკლის ხე საგვარეულო ეკლესიის წინ დგას.

— რატომ ბაღი არ არის? მაგრამ რად გინდათ ბაღი! მარცხნივ მშვენიერ ხეებით მოსილი მთა, მარჯვნივ კეკლუცი გორაკი; ჩრდილოეთით დიდი მთები, წინ მიდორი საყანე, ამის პატრონს განა ბაღი ესაჭიროება? დავათვალიერე აგრეთვე ქვედა სართული. ძველებური მარანი, სამზარეულო ბუხრით, კოდით, ქვევრებით თავლით. აქიდან ეკლესიისკენ გავემართეთ; ძველი კედელი, ძველი ხატები, ძველი წიგნები, ტრაპეზი და სახარება.

გ. სიმონ წერეთელი (ყოფილი დეპუტატი) ხუცურათ კითხულობს სახარების პირველ გვერდს: და უკეთილ მსახურესისა, და უმაღლესისა დადიანის ასულის დარეჯანისა, პატრიარქის ანტონის, ძისა მეფის ირაკლი მეორისა... თფილისის ქალაქსა შინა სამეფოსა წელს... და დასაბამისა და სხვ.

ეკლესიის დათვალიერების შემდეგ ეზოდან სახლის სართულს გადავკარი თვალი. აკაკის ოთახის ბუხარს კვამლის გასასვლელი განით აქვს, ზევით კი ცაზე ყელაშვერილი თიხის მამალი სდგას, რომელიც თითქოს ემზადება არამარეს განთიადი ახაროსო.

სწორეთ შესამჩნევია ეს წვრილმანი ქანდაკება აკაკის სახლის სართულზე და ისიც კიდევ მის ბუხარზე! ეს სიმბოლოა თვით აკაკისა! აკაკი საქართველოსთვის სწორეთ რომ „შანტეკლერი" იყო. მას უყვარდა სამშობლო, თვისი კეკლუცი ქვეყანა. იგი მას მუდამ თავს დატრიალებდა, როგორც მის ბუხრის თავზე მდგომი მამალი, ისე იდგა იგი ჩვენი ცხოვრების გზაზე. მარტოთ, უამხანაგოთ, მაგრამ მ[illegible] ხვალს მაინც იმედით შეჰყურებდა.

კმარა ფიქრები! [illegible] ხელს გვიშლის, უნდა წავიდეთ, მატარებელს მივუსწროთ, ყველა მიიჩქარის, მაგრამ მე მსურს დიდებულ მგოსანს უკანასკნელი, გამოსათხოვარი სალამი მივსცე.

თვალცრემლიანი მივუახლოვდი მის ცხედარს და დაჟინებით შევცქერი მის სახეს.

მშვიდობით მოხუცო მამაო. შენი სამშობლო ტკბილათ ჩაგიხუტებს გულში!..

საჩხერის მატარებლით ჩვენთან ერთად ბრუნდებიან ყვირილის ორი მასწავლებელი, ქუთათურები, რომლებიც აკაკის პანაშვიდს დასწრებიან და თავიანთ შთაბეჭდილებას ერთმანეთს უზიარებენ. ჩემთან ახლო სამი შავში გამოწყობილი ქალები საუბრობენ; ერთი მათგანი აკაკის ბიძიას უძახის, მატარებლის ხმაურობა ხელს მიშლის და მხოლოდ შემდეგი სიტყვები მესმის:

„ბიძია გვეხვეწებოდა, მაჭამეთ რამეო, მაგრამ აკრძალული ქონდა ჭამა და რა გვექნა... ხელები სულ უცივდებოდა".

ეტყობოდა რომ ბიძიას სიკვდილით ძალიან გულდაწყვეტილი იყო.

შორაპნიდან დაწყებული ქუთაისამდი ყველგან ერთი და იგივე მესმოდა:

„აკაკი გარდაიცვალა" — „აკაკი მოკვდაო"!

მსურს ყველას ვუთხრა, რომ იგი არ მომკვდარა! აკაკისთანა შვილები სამშობლოს არ უკვდება, პირიქით იგინი მკვდარადაც კი წინ მიუძღვიან ცოცხალ ხალხს, მაგრამ ერთხელ მიღებულ ლაპარაკის ადათის ხმარებას ვერავის დაუშლი.

ჯაჯუ ჯორჯაკია.

---

ველთა სიამაყის მგოსან აკაკის ნეშთის გამოსვენება—დაკრძალვაზე დასასწრებლათ.

ბ, კვირას, 8 თებერვალს, დაკრძალვის დღეს, გადახდილ იქნას პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლათ

მოკვდა აკაკი და თან წაიღო ქართველების იმედები. . იგი მოკვდა, მაგრამ ძვირია ქართველთათვის და თვით საქართველოსთვისაც ეს დანაკლისი... აღარ არის ის. ვისი გულიც ეგრე ძვირფასი იყო ქართველთათვის, და ვისი ჩანგიც საქართველოს კეთილ-დღეობაზე მღეროდა... აღარ მოესწრო დიდებულსა და ღირსეულს შვილს ენახა მისი აღმზდელის ბედნიერება—მისი ძვირფასი საქართველოსი... მოკვდა ის, რომელმაც იწინასწარმეტყველა:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს"-ო...

მაგრამ ეჰ, რა შემიძლიან ვსთქვა მე საქართველოს დანაკლისზე, გარდა იმისა, რომ მუხლი მოვიდრიკო და ვეამბორო გაციებულ შუბლს, რომელიც ეგრე ზრუნავდა საქართველოს კეთილდღეობაზე.

ხიდის-ხიდისიძე.

— —

საქართველოს უდიდესი მგოსნის, უსაყვარლესი მამულიშვილის, უკვდავი აკაკის დაკარგვამ თავზარი დაგვცა, სასოება წაგვიკვეთა. ვსტირით გამოუთქმელათ, ვღვრით მდუღარე ცრემლებს. მოწაფენი ჩვენთან ერთად საცოდავად ქვითინობენ.

28 იანვარს შუადღისას, სააზნაურო სკოლის დარბაზში თავი მოიყარა სენაკის ყველა სკოლის მოწაფეობამ, რიცხვით ოთხასამდი მასწავლებლებითურთ. წაკითხულ იქნა მათთვის მთელი ერის გულშემზარავი დეპეშა. დამსწრეთ აუხსნეს, თუ რა დიადი განძი დაჰკარგა ბედკრულმა სამშობლომ.

ამის შემდეგ გადახდილ იქნა პანაშვიდი ღვთივ-განსვენებულის—ერის დიდებისა და სიამაყის—უკვდავი სულის მოსახსენებლათ.

სენაკის სააზნაურო სკოლის მასწავლებელნი.

— —

ს. შუქრუთის გლეხ-კაცობა ვსტირით და ვგლოვობთ დიდებულ მამულიშვილის აკაკის დაკარგვას, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში გვინერგავდა გულში მამულის სიყვარულს.

გადაუხადეთ პანაშვიდი.

— —

სოფ. შუქრუთის სკოლის მოწაფეები ვსტირით და ვგლოვობთ ძვირფასი აკაკის დაკარგვას.

— —

**აბაშა.** საქართველოს კოხტა ზურმუხტოვანქცას მწუხრის ზეწარი გადაეფარა...

გლოვის ნიშნად, პუნების ციური სიმთა ჟღერა, გლოვის ანგებზე აღიმართა... და ნაზმა სიომ წელი სისინით ამცნო ივერიელებს საყვარელი მგოსნის დაკარგვა...

დაჰკრა უნუგეშო წამმა, დაჰკრა უნუგეშო დრომ... და ისედაც დაობლებულ პაწაწა მშვენიერ სამშობლო მხარეს მოსტაცა დიდებული ადამიანი: ეროვნების სიამაყე, ქართულ პოეზიის მამათ-მთავარი, ქართველი მნათობი მგოსანი—აკაკი.

გასწყდა სიმი!..

მიყუჩდა საუკუნოდ ეოლოსის ჩანგის ციური ჟღერა...

მგოსნის თავისუფალ, იმედოვან სიმღერის ნაცვლად ირგვლივ გაისმის საზარელი ოხვრა, კვნესა და უიმედო მოთქმა ქართველი ერისა.

ცრემლებს... უიმედო ცრემლებს ღვრის დღეს ძვირფას მგოსანზე ყოველი კუთხე საქართველოსი...

მაგრამ გჯეროდეს, დიდებულო მგოსანო, გამობრწყინდება დიდი მზე, ააშრობს ტანჯულ მხარეს ტანჯვის ცრემლს და შენი ერთგული ქართველობა არ დაივიწყებს შენს ძვირფას ანდერძს.

მუხლს ვიდრეკ დიდებულო მგოსანო შენი ცხედრის წინაშე.

სტ. ბზიავა.

— —

ვიდრეკთ მუხლს ძვირფასი მასწავლებლის აკაკის ნეშტის წინაშე და ვუერთებთ ჩვენ გლოვას საერთო ეროვნულ მწუხარებას.

მასწავლებლები: მიხ. იმნაძე, ივანე ბახტაძე, იერ. კაზანაძე და ივ. ჩიმაკაძე.

— —

**ცაგერი.** ვგლოვობთ და ვსტირით აკაკის დაკარგვას. ვევედრებთ ღმერთს მის სულს.

დეკანოზი მარკიანი.

---

ვ. ჯ. წერეთელმა, აკაკის გარდაცვალების გამო, გაგზავნა ორი წერილი: ერთი წმინდა ათონის ივერიის მონასტერში, მეორე სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა წმინდა მონასტერში. წერილების შინაარსი შემდეგია.

მის მაღ. კურთ. წმინდა ათონის ქართველთა ივერიის მონასტრის წინამძღვარს მამა იოანეს.

დღეს მთელი ქართველი ერი სტირის და გლოვობს მისი დიდებული მგოსნის აკაკის გარდაცვალებას, რომელმაც განისვენა 26 იანვარს. დაკრძალვა მისი მოხდება 8 თებერვალს, ქ. თფილისში, მთაწმინდაში.

ილოცეთ წმინდანო მამანო, განსვენებულის სულისათვის, და მწუხარებით დაცემულ ერის აღდგენისათვის.

სტამბოლში. ქართველ კათოლიკეთა მონასტრის კრებულს და უმფროს მამა ბალიმერს.

წმინდანო მამებო!

დღეს მთელ საქართველოს ერთან ერთად ვგლოვეთ და ილოცეთ, ჩვენი საერთო დიდებული ადამიანის აკაკის დაკარგვისათვის. დასაფლავება მოხდება 8 თებერვალს, ქ. თფილისში, მთაწმინდაში.

შეამკვეთ მისი დიდებული სურათი ყვავილებით, რომელიც მის სახელზე დაარსებულ ბიბლიოტეკაში გაქვთ და რომელსაც ყოველთვის მოწიწებით აღმერთებდით. მართალია მოკვდა ჩვენი ეროვნული სიამაყე ხორციელად, მაგრამ სულიერათ, ნუ აღმოვფხვრით მისს ნაშთს ნურასად.

— —

დიდებულ მგოსან აკაკის გარდაცვალების გამო მთელ საქართველოს თავზარი დაგვცა და ცხარე ცრემლებსა ვღვრით მის სპეტაკ ცხედარზე. მოკვდა მხოლოდ აკაკი, მაგრამ მისი სახელი კი არ მომკვდარა, რომელიც არის ყოველ წუთში სახსოვარი. მიტომაც ვიზიარებ ქართველ ერის საერთო მწუხარებას და თავს დავსტირი ჩვენს დიდებულ მგოსან აკაკის.

მოწაფე მე-4 კლასისა ქუთაისის პირველ-უმაღლეს-დაწყის სასწავლებლის,

დათიკო მაჭარაძე.

— —

მოკვდა აკაკი! ეს საზარი ხმა მთლათ მოედო მთელ საქართველოს. საქართველო ძაძით შეიმოსა. გლოვობს საქართველო თავის დიდებულ შვილს მასთან ერთად ვგლოვობთ და ვსტირით ჩვენი სიამაყისა და სასიქადულო მგოსნის დაკარგვას.

ვ. მებუკე და აგნესა გრიგოლია.

— —

მოკვდა აკაკი...

საქართველოს თავზარი დაეცა...

მოკვდა ერთად ერთი საუკეთესო შვილი ქართველი ერისა.—

მოსწყდა ცის ლაჟვარდს უდიდესი ვარსკვლავი...

სტირის მდელო, ტყე, მინდორი,
მათთან ერთად ქართველთ—ერი...

მთელი საქართველო შავშია გახვეული და უნუგეშოდ, გულამოსკვნილი თავს დასტირის თავის ერთად ერთ შვილს— მზეს საქართველოისას, დიდებულ მგოსან აკაკის...

მათთან ერთად მეც ვსტირი და მუხლს ვიდრეკ აკაკის ცხედრის წინაშე.

ქუთაისის ქალთა სახელმწიფო გიმნაზიის მე-6 კლასის მოწაფე,

ნინა ვარდოსანიძე.

— —

**ს. კორეთი. ოკრიბა.** ქართველი ერის განმანათლებელო მართლმოძღვარო და სიამაყე, დიდებულო მგოსანო აკაკი ვსწუხვართ და ვსტირით მგლოვიარე გულით თქვენს ამ სოფლიდან გარდაცვალებას მოსწყვიტა ულმობელმა სიკვდილმა ცისკრის ვარსკვლავი სხივ მომფინარე და გადაეკრა ჩვენს მიდამოებს გლოვის ბურუსი.

ვეამბორები თქვენს გაციებულ სპეტაკ შუბლს და ვიზიარებ მეც ქართველი ერის მწუხარებას.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი საქართველოს მამა და პატრონო, ბრწყინვალე მგოსანო!

გრიგოლი ი. უიფაძე.

— —

**დიდებული აკაკის ხსოვნას.**

26 იანვარს, ჩვენმა მცხოვანმა მგოსანმა, სამშობლოს პოეზიის მამამთავრმა და მთელი ქართველი ერის სიამაყემ აკაკიმ მშვიდად სული განუტევა! ნუ თუ შესძლებს ვისიმე კალამი, ვისიმე ენამეტყველება სავსებით აღბეჭდოს თანამედროვე თაობის შეგნებაში მთელი თავისი სიღრმე-სიგანით აწგანსვენებული პოეტის მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული შეგნების დაბადება-ზრდაში, ჩვენი [illegible] ნული ხელოვნების განმტკიცებაში, ჩვენი [illegible] ნუზომელ პოტენციალური ძალით აღსავსე, სამშობლოს თანდათან „გაღვიძებაში", რომ ამით ნათელჰყო ის ჩვენთვის დიდი ხნით საკვნესი დანაკლისი, რომელსაც პატრიარქი აკაკის ჩვენ შორის არყოფნით იგრძნობს ქართველთა ტომი!

აკაკიმ განისვენა! ეს სამწუხარო ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს ჩვენს პატარა სამშობლოს და აუტანელ ტკივილად ჩასწვდა გულის სიღრმემდინ ყველა ნამდვილ ქართველს: დიდი თუ პატარა, ქალი თუ ვაჟი, ახალგაზრდა თუ მოხუცი, ვისაც კი ანბანი უსწავლია, ქართული წიგნი გადაუშლია და დამტკბარა შეუდარებელი მგოსნის ჩანგის ჟღერით, ყველა განუზომელი მწუხარებით დასტირის საყვარელი პოეტის გვამს.

აკაკის სიკვდილთან ერთად ჩვენმა, ბევრი ვაების გამომცდელმა ერმა დაკარგა ერთი უდიდესი, უპატიოსნესი და უნიჭიერესი მოამაგე. დიდია ეს დანაკლისი და შეუძლებელია ჯერ გაუციებელი გვამის წინაშე, როდესაც მთელი ჩვენი არსება უნუგეშობით შებოჭვილი არის. სავსებით აღნუსხვა ყველა იმისა, რასაც ქართველი განიცდიდა აკაკის სახელთან ერთად. მთელი ეხლანდელი თაობა აღზრდილია და განმტკიცებულია სამშობლოს სიყვარულში და ღრმა ეროვნულ შეგნებაში აკაკის მომხიბლავ ნაწარმოებებით. ის მუდამ, რა ჩანგური ააჟღერა, განუწყვეტლივ, დაჟინებით, წინასწარმეტყველური აღფრთოვანებით, უკანასკნელ წუთამდე ვიდრე ულმობელმა სიკვდილმა შეუბრალებლად არ გამოსტაცა შემოქმედი კალამი ხელიდან, უმღერდა სატრფიალო მამულს, მშობელ ერს და გაიძახოდა: „არ მომკვდარა! მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს".

მას უყვარდა ჩვენი წარსული, ჭმოდა აწმყო და მხურვალედ სწამდა ქართველი ერის უკეთესი მომავალი. ამ სამ შემეცნებას ემსახურებოდა მისი უზენაესის მადლით აღბეჭდილი პოეტიური ნიჭი და ამ სამსახურში გაიფაქიზა, განამტკიცა და უმაღლეს საფეხურამდი აღიყვანა წმინდა ხელოვნება.

დიდი რუსთაველიდან აკაკით ჩვენ წინ იშლება ფართო გზა ხელოვნების ტაძარში და მხოლოდ ამ გზით შევსძლებთ მთელი ჩვენი ეროვნული შემოქმედებითი ძალების გადაშლას.

მშვიდად განისვენე, დაუვიწყარო მასწავლებელო! შენი სახელი უკვდავი არის. ნეტარება შენ, რო გხვდა წილად ჩვენი გამოფხიზლება და წინძღოლა აღთქმული ქვეყნისაკენ. შენ მაგრად გეჭირა კვერთხი წინამძღოლისა და ღირსეულად შეასრულე შენი მისია ერის წინაშე. მკვდრეთით აღმდგარი ერი თვით იქნება შენთვის მუდმივ ხელთუქმნელ ძეგლად!

მიხეილ გავაშელი.

— —

**ქიზმანი.** სამშობლოს დაშორებულნი დავსტირით საქართველოს რომელმაც დაკარგა მისთვის თავდადებული გუშაგი აკაკი. იგი ცოცხალია ვიდრე იცოცხლებს ქართველობა და შოთას ენა. მწუხარება გვიორკეცდება, რადგან არ ძალგვიძს უკანასკნელათ შევხედოთ ჩვენი მგოსნის ცხედარს.

აკაკი, ნიკო და შალვა ბარაკაძეები.

---

# აკაკის.

მოკვდა აკაკი!.... „არ შერჩა
გადახდა სთვლის ვალისა",
გაქრა იმედი, „აღარ ვართ,
ცრუ-მოიმედე ხვალისა".
სპეტაკი შუბლი გაცივდა,
გაცინა ნიჭთა სადგომი,
სიკვდილის ძალამ ჩააქრო
მისი ნაფიქრი, ნანდომი!
მაგრამ, ხმა მისი ჩანგისა
სულს გვიღხენს, გულში ჩაგვწვდება,
„სიმი ბულბულის ენისა"
მარად იჟღერებს... არ კვდება!
„ცრემლში ნაღესი ნაღველი",
გვასხურა თვის ერს ჩაგრულსა,
მით წყლული შეგვისუბუქა,
მრავალი სევდით ტანჯულსა.!
მგოსანო! ენა მაქარო,
„გულ ამოსკვნილი ვსტირი მე,"
ნესტან დარეჯანს ტუვედ სტოვებ,
მას გწუხვარ, შენი ჭირიმე.!
მან ტარიელი დაკარგა,
მის მხსნელად განაპირები,
მაგრამ შენს ანდერძს დაიცვენ
შენგან გაწვრთნილი გმირები!
შენს „სატრფოს-ლეჩაქ-მოხდილსა,
სადათას ძილი ეძლება,
დრო დგება გამოღვიძების,
მზე სხივებს გვაწვდის, თენდება"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ შენს „გაზაფხულს“ გელირსეთ,
„მერცხალი“ მოგვიფრინდება,
„ტა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი“
ერთ ფერად აგვიყვავდება!!.
მაშინ დავკოცნი შენს საფლავს,
ია ვარდითა მოქარგულს,
შევასისხლხორცებ შენს ნეშტში
ჩემს გრძნობას, ჩემსა სიხარულს!

პასიკო.

# ახალი ამბავი.

კვირას, 1 თებერვალს, საკათედრო ტაძარში ქალაქის თვითმართველობის მიერ გადახდილ იქნა არქიელის წირვა და პანაშვიდი დიდებული მგოსნის აკაკის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის გადახდის შემდეგ ბ. მჭედლიძის ასულმა მშვენიერი სიტყვა წაიკითხა. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო. საზოგადოებას აკაკის სურათები დაურიგეს.

✦ პ. ფრანგიშვილის საღამო. ამ დღეებში ქალაქის თეატრში გაიმართება პ. ფრანგიშვილის საყურადღებო საღამო-მეჯლისი, ხუთ-განყოფილებით. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მწერლები, ლექციას წაიკითხავს ბ. აკაკი ფაღავა შემდეგ თემაზე „სასცენო ხელოვნება“ და სხვ.

✦ ამჟამათ იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი ავათ იმყოფება, როგორც გავიგეთ, იგი აკაკის დაკრძალვას ვეღარ დაესწრება.

✦ **ებრაელები აკაკის შესახებ.** კვირას, 1 თებერვალს, ებრაელების საზოგადოებამ თავის სალოცავში დიდებული მგოსნის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდს დაესწრენ როგორც ისრაელები, ისე მართლმადიდებელნიც. პანაშვიდის გადახდის შემდეგ ებრაელების რაბინმა სიტყვა წარმოსთქვა. დამსწრეთ აკაკის სურათები დაურიგეს.

✦ 2 თებერვალს საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის დარბაზში შესდგა ქუთაისის ვაჭართა საზოგადო კრება. კრებამ შემდეგი დაადგინა:

1) გაიგზავნოს თფილისის გაზეთებში სამგლოვიარო დეპეშები;

2) აირჩიეს სამი კაცისაგან კომისია, რომლებმაც უნდა შეკრიბონ ფული აკაკის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლად;

3) აკაკის დაკრძალვაზე დასასწრებლათ შემდეგი პირები აირჩიეს: ს. ეზიკაშვი, მამაჯანოვი და ბ. სანიკიძე.

✦ შაბათს, 31 იანვარს, არქიელის გორის აკაკის სახელობაზე არსებულ სამკითხველოს გამგეობის თაოსნობით წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი დიდებული მგოსნის აკაკის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს შემდეგ გამგეობამ მსჯელობა იქონია იმის შესახებ, თუ კიდევ რაგვარათ სცეს პატივი ძვირფასესი ადამიანის ხსოვნას. დადგენილ იქნა; დაევალოს გამგეობის თავჯდომარეს რაჟ. კანდელაკს და წევრს მარო ლამბაშიძის ასულს დასწრება პოეტის დასაფლავებაზე, ხოლო გვირგვინის ნაცვალ ერთი თუმანი, შეკრებილი გამგეობის შორის, გაიგზავნოს აკაკის ფონდის გასაძლიერებლად.

✦ როგორც გავიგეთ, ქუთაისის მსახიობთა ამხანაგობა წარმოდგენების მართვას 15 თებერვლიდან დაიწყებს. ამხანაგობის შემადგენელი ვასო ურუშაძე მსახიობებს მოსაწვევათ თფილისს უკვე გაემგზავრა.

✦ 25 იანვარს, ბრძოლის ველზე დაიღუპა ექიმი სერგო მიხეილის ძე ელენტი, რომელსაც ქუთაისში ამ დღეებში ჩამოასვენებენ.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა პლატონ გელოვანს ნება დართო გამოსცეს ქუთაისში ყოველდღიური გაზეთი „იმედი“.

✦ ქ. შ. წ. კ. განყოფილების გამგეობამ თფილისში მთავარი გამგეობის წიგნების გამომცემელ სექციის კრებაზე 29 იანვრისთვის გაგზავნა ორი წევრი ი. ოცხელი და ტ. ჯ. ფარიძე გადასაწყვეტათ იმ საკითხისა, რომ მთავარ გამგეობას გადმოეცა ქუთაისის განყოფილებისათვის მის ახალ სტამბაში დასასტამბათ თავიანთი გამოცემები. გაგზავნილებს ბევრი უმტკიცებიათ თფილისელ სექციისათვის მათი გამოცემების ქუთაისში დასტამბვის უპირატესობა, მარა ისინი მაინც ვერ დაუჯერებიათ და სექციას ქუთათური დელეგატები უარით გამოუსტუმრებიათ. გამგეობამ თავიანთ წევრების მოხსენების შემდეგ მწუხარება გამოსთქვა ამ დადგენილების გამო და უცდის გამგეობაში ამ საკითხის გადატანას და მათ ხელახალ განხილვას. დელეგატებს ეტყობოდათ, რომ თფილისის სექცია ქუთათურთა წინადადებას თავაზიანათ ვერ მოეპყრობია და განუზრახავს ამ საკითხის პრესაში გადატანა

* * *

ამ დღეს აირჩია გამგეობამ თფილისში აკაკის დასაფლავებაზე გასაგზავნათ სამი წარმომადგენელი: ქქ-ნნ მელანია გვეტუსიანისა, მარიამ ვარდოსანიძის ასული და ის. კვიცარიძე. ერთ მათგანს სიტყვის თქმა აქვს დავალებული.

* * *

ამავე კრებაზე დაადგინა გამგეობამ გამოსცეს პატარა წიგნაკი აკაკის საუკეთესო სახალხო ლექსებისა სოფლის სკოლებში და სამკითხველოებში დასარიგებლათ.

✦ ქალაქის გამგეობამ ქალაქის მოურავს ი. ჩიქოვანს მიანდო დაესწროს თფილისში კავკასიის ქალაქთა კავშირის კრებაზე,

✦ გუშინ სიჩხერეში გაემგზავრა ქუთ. საორგანიზაციო კომიტეტის წევრები.

✦ საურთიერთო ნდობის ბანკის გამგეობა თფილისში აკაკის დაკრძალვაზე დასასწრებლათ გზავნის გ. ი. კემულარიას.

✦ საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის გამგეობამ აკაკის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლათ გადასდვა 200 მანეთი. 25 მანეთი გადასცა ქართული გიმნაზიის მოწაფეებს სამგზავროთ.

## ქუთაისის დაბალი სკოლების ქართველ მასწავლებლებს.

დღეს საქართველოს სიამაყის, ძვირფასი მგოსანი აკაკის ცხედარს გამოასვენებენ სიჩხერიდან და წაასვენებენ თფილისს, სადაც მოხდება დაკრძალვა რვა თებერვალს, დღით კვირას იმ დღისათვის საქართველოს ყოველკუთხიდან დეპუტაციები ჩავლენ თფილისს და დაესწრებიან განსვენებულის დაკრძალვას და თან გვირგვინების ნაცვლად ზეპირსიტყვაობის ფონდისათვის თავის წვლილს მიიტანენ, ყოველი საზოგადო, კერძო და კულტურული დაწესებულება თანაუგრძნობს და ღებულობს მონაწილეობას ქართველი ერის საერთო მწუხარებაში, გამონაკლისს არ შეადგენენ არც გლეხები, მუშები და ხელოსნები და ჩვენ მასწავლებლებს კი ჯერაც არ მოგვილაპარაკნია ამის შესახებ.

დღეს აგერ მეთე დღეა და არავისი ინიციატივა არა სჩანს ამ საქმეში, რაც მეტად სამწუხაროდ და სამარცხვინოდაც მიმაჩნია ასეთი გულგრილობა. ქუთაისში არსებობს ოთხი ქალაქის, ოთხი სამრევლო და ორი სადირექციო პირველდაწყებითი სკოლა, რომლებშიც ირიცხება სღვთო სჯულის მასწავლებლებიანად 40 მასწავლებელი კაცი და ქალი. ნუ თუ არ შეგვიძლია შევუერთდეთ და ჩვენც გავგზავნოთ ორი ან ერთი კაცი ჩვენის მხრით და თან გავატანოთ ოციოდე მანეთი ხსენებული ფონდისათვის?! ორმოცმა კაცმა თითო მანეთი, რომ გამოვიღოთ და ერთი კაცი მაინც ავირჩიოთ, საკმარი იქნება. **მაშ შევიკრიბოთ ხუთ თებერვალს, დღით ხუთშაბათს,** ნაშუადღევის ოთხ საათზე პეტრეპავლეს ეკლესიის სამრევლო სკოლის დარბაზში და მოვილაპარაკოთ. თუ გავგზავნით დეპუტაციას ექვს თებერვალს დილითვე ტელეგრამით უნდა ვაცნოთ თფილისის კომიტეტს. შემდეგ გვიან იქნება.

**მასწავლებელი.**

# ომი.

**პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.**

**რუსეთ-გერმანიის ასპარეზი**

**პეტროგრადი.** ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან: ვისლის მარჯვენა მხარეზე ბრძოლა თანდათან მწვავე ხასიათს იღებს. ლოკის, რაიგოროდისა და გრაევოს რაიონებში გერმანელებმა დიდ ძალას მოუყარეს თავი და მიიწევენ ნემანის მხარისაკენ, გამაგრებულ პოზიციებზე. ვისლის მარცხენა მხარეზე მხოლოდ სროლა სწარმოებს. ნიდის მდინარეზე, მტერმა დაიწყო ძლიერი საარტილერიო ბრძოლა. კარპატებში ჩვენ მოვიგერიეთ მტრის სასტიკი იერიშები. სვიდნიკისა და გორლიცის რაიონებში ჩვენ ხელთ ვიგდეთ მტრის სიმაგრეები. სმოლნიკთან, ლუპკოვის აღმოსავლეთით ტყვეთ წამოვიყვანეთ 18 აფიცერი და 1000 მეტი ჯარისკაცი ვიხელთეთ სამი ტყვიის მტყორცნელი. ტუხლის ფრონტზე სასტიკი ბრძოლა ხდება. ბრძოლაა აგრეთვე ვიშკოვთან და ნადვორნაიას გზებზე.

## ინგლის-ოსმალეთის ასპარეზი.

**ლონდონი.** ოფიციალური. 1 თებერვალი. ინგლისის ჯარის შეიარაღებული უმნიშვნელო ნაწილი გადმოსხმულ იქნა სინაის ნახევარ-კუნძულთან, რომელიც დაეცა ოსმალეთის რაზმს ტურის ჩრდილოეთით, დაამარცხეს ის და წამოიყვანეს 100 კაცი ტყვეთ. ბრძოლის შემდეგ ნახეს 60 მოკლული ჯარისკაცის გვამი რომელთა შორისაც ერთი მაიორი აღმოჩნდა. ინგლისელებმა დაკარგეს 1 დაჭრილი და ერთი მოკლული. ოსმალოს 50 ჯარისკაცმა გერმანელ აფიცრების ხელმძღვანელობით იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციაზე. მტერი დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ გამაგრებული არ ვიყავით, მაგრამ, როდესაც გაიგეს რომ ჩვენ პოზიციაზე 200 კაცამდის იყო, გაიქცნენ.

# სხვა და სხვა ამბები.

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**რომი.** ოფიციალური ჟურნალ დიტოლია, სწერს შემდეგს: აგერ რამოდენიმე თვე არის, რაც იტალიის ხალხი გრძნობს, რომ დღევანდელი მისი ნეიტრალიტეტი არ შეიძლება იყოს მის საბოლოო მიზნათ. სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ შემდეგაც ასე გაგრძელდება ჩვენი გამოურკვევლობა. ახლა დადგა დრო, როდესაც უნდა მოხდეს მობილიზაცია იტალიის სულიერ ძალთა. შემდეგ გაზეთი განაგრძობს, იტალიას არ შეუძლიან გამოვიდეს ის საქვეყნო კრიზისიდან რომელიც მთელ ევროპას თავზე დაატყდა. დღეს მთელი იტალია განურჩევლათ კლასისა, პარტიის, რწმენისა და მისწრაფებისა უნდა გრძნობდეს, რომ მისი ბედი დღესვე გადასწყვიტეს. უნდა გამოირკვეს, შეუძლია თუ არა იტალიას დღესვე დარწმუნდეს აქვს თუ არა საბუთები მისი საზღვრების გადიდების, მისი პრესტიჟის აღდგენის, რომ უზრუნველ ჰყოს თავისი მამული და არ გამოითიშოს დიდ სახელმწიფოთა რიცხვიდან, რომ არ გახდეს გამარჯვებულ სახელმწიფოების მსხვერპლი. შემდეგ გაზეთი მოუწოდებს ყველას შეთანხმდნენ მთავრობას, მიიღოს მონაწილეობა ამ ომში.

**კოპენჰაგენი.** აქ მოვიდნენ გერმანიის ტყვეობიდან 12 კაცი, რომელთა შორისაც იმყოფებიან, სახელმწ. საბჭოს წევრი ფრიზე, გენერ. გერტინგი, ბუკოვსკი, ხარინი, ბარშევსკი და სხ. მოსულები გადმოგვცემენ, რომ მათ ძლიერ ცუდათ ეპყრობოდენ გერმანელები. მიუხედავათ ავათმყოფობისა, ისინი მოათავსეს ცივ და ნესტიან ციხეში, ზოგი მათგანი ბერლინის ციხის ცივ კამერებში დაამწყვდიეს. შტაბს კაპიტანმა შუბერტმა ვერ აიტანა ასეთი მდგომარეობა და თავი მოიკლა. შემდეგ ბერლინის კამენდანტმა ცოტა ოდნავ შეგვიმსუბუქა მდგომარეობა.

**ათინა.** 2 თებერვალი. ათინის სააგენტო იტყობინება, რომ ოსმალეთმა ვერ დააკმაყოფილა საბერძნეთის მოთხოვნილება ოსმალოს პოლიციელ აგენტების მიერ საბერძნეთის საზღვაო ატაშეს შეურაცხყოფისათვის, რის გამოც საბერძნეთის ელჩმა პაპასმა, დასტოვა რა თავისი პირველი მდივანი, საგანგებო ნდობით აღჭურვილი, კონსტანტინეპოლიდან გამოვიდა.

# პატარა ფელეტონი.

...არარაობის წიაღში...

— თვალ უწვდენელი დედამიწა, პურმარილობის ეს დიდებული უხვი კალთა, რომელზედაც ჰაა-ღუიდან ვიდრე კაცამდი, ბუნების ამ გვირგვინოსნამდი, ყველა ერთნაირათ არსებობისთვის ნამცეცებს ეძებს და ერთნაირათ განწირული მარად ჰქრება,—ბრუნავს უაზროთ და ატრიალებს წუთის სოფლის აუარებელ სტუმართა ხროვას..

— უსაზღვრო სივრცე, მოჭედილი ვარსკვლავებით, მზითა და მთვარით გაშუქ ბული, დაჰყურებს ამ კალთას, თვისი საიდუმლოებით აოცებს მის სტუმართ და უღვ ძებს მათ გულში კითხვას: საიდან გაჩნდა ყველა ეს? პასუხს რომ არსაიდან იღებს, ეძლევა დუმილს, სულის კვეთებას და იმედ წარკვეთილი, მონა უვიცობისა მოსთქვამს და მოსტირის თვის უძლურებას... კვდება უვიცი...

— თუ კაცს შესწევს ნიჭი ძიებისა, ილვწის გაიგოს დასაწყისი ამა ქვეყნისა და ეს არის ის საყუდარი, რასაც ვეძახით ჰეშმარიტებას, მაგრამ რათ არ აცდის მას სიკვდილი?..

იქნებ იმიტომ, რომ მიღწეული ჭეშმარიტება იგივე არის რაცა სიკვდილი?... თუ ასე არის მაშინ სიკვდილი ჭეშმარიტებათ უნდა ვიწამოთ, მაგრამ გონება შემოქმედისა ამასაც რომ არა სჯერდება?...

მაშ რა არის თვით შემოქმედი, კაცი, ქმნილება?.. ნუ თუ მარტო ხორცშესხმული გაუგებრობა?...

— თუ არა ასე, მაშ რითი ავხსნათ მწერთა ბედი, ბუნების გვირგვინოსანთა ბედთან სიკვდილით დატოლებული?..

**სან—ტარი.**

# დაბა-სოფელი.

**ს. კიცხი** (შორაპნის მაზრა). დიდებული მგოსნის, ჩვენი მამა-მთავარის აკაკის გარდაცვალების დიდმა მწუხარების ამბავმა ჩვენამდეც მოაღწია. დაღუმდენ საგენი ჩვენი ერის სიამაყისა და ჩვენი დიდებისა. აღარა გვყავს ჩვენი მეორე შოთა, ჩვენი ერის მოამაგე და ერთგული პატრონი აკაკი. ამ დიდათ სამწუხარო ამბავის გაგებისათანავე აქაურმა მღვდელმა ეს გარემოება აცნობა თავის მრევლს და მოუწოდა ყველას, რომ პირველ თებერვალს დასწრებოდენ ჩვენი უკვდავი მგოსანის წირვა პანაშვიდს.

დანიშნულ დღეს დილა ადრიანათვე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი კიცხის წმიდა გიორგის ეკლესიაზე იყვენ; გარეშე სოფლებიდანაც. პანაშვიდის დაწყების წინეთ მღვდელმა დროის შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა, ამ სიტყვაში, მდაბიურის ენით, მან ნათლათ დახატა დიდებული ადამიანის მოღვაწეობა ჩვენი ტურფა ქვეყნისა და ერისადმი და მოუწოდა დამსწრეთ, რომ მისი ცხოვრებისა და მისი იდიალების მიმდევარნი და აღმასრულებელნი ყოფილიყვნენ.

**შ. ფარცხნ-ლელი.**


ს. ს **ი. გოკიელის** მ-გის ქუთაისში
ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი
**აბრეშუმის ჭიის თესლის**
**ხ. ხრისტოდულიდის** ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ახლო მომავალში დაიწყება დაკვეთა ზემოაღნიშნულ ფირმის აბრეშუმის თესლზე.**
**ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება.** თ.

**ჭიანჭველის ბუნებრივი სპირტი.**
ჭიანჭველის ზეთის მიმატებით, როგორც იშვიათი ძველ დროს ხალხისაგან ნაცადი საშუალება, საარაკოთ არჩენს თვით ძვალ-რბილში გამჯდარ ქარებს.
თითოეული ფლაკონის ფასი 1 მ. 50 კ., 2 მ., 2 მ. 50 კ. და 3 მან.
ყოველ ფლაკონს თან ახლავს დარიგება.
ფოსტის ადრესი: ქ. კალუგა, ტიბეკინოს მამული, **დიმიტრი დიმიტრის ძე კარპოვი.** 12—3

**ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია მ. ბ. კვინიხიძის**
**უფლებებით.**
თფილისის ქუჩ. და ობორინის შესახვევში კუთხე. მოწაფეების მიღება დაიწყო 12 იანვრიდან. სწავლის ფასი უფლების გამო არ მომატებია. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სასწავლებელს აქვს საანბანო განყოფილებაც, რომელშიც მიიღებიან მოუმზადებელი ბავშვები. თ. 7.

ამერიკული [illegible] ვაზი (*rupestris*),
მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, [illegible] ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

**ქუთაისი.**
**თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიამ დაბეჭდა და გამოსცა გასაყიდათ**
**საქართველოს ისტორია,**
მოკლე სისტემატიური კურსი მოზრდილთათვის. უძველესი და ძველი ისტორია საისტორიო ქარტით. შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი ყდით 35 კაპ. საწყობი იმყოფება ქუთაისში—გამომცემელთან, თფილისში ქ. შ. წ. კითხ. გამ. საზოგად. მაღაზიაში. თ.

**გამოვიდა და იყიდება**
**ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში**
**თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.**
**ფასი 60 კაპ.** წ.

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**
**კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში**
**ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.**
**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის:** ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი. გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.
**კატალოგები უფასოთ** თ.